



ადიგენის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2023-2026 წლები

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის შესახებ.....	4
ისტორია.....	4
მდებარეობა.....	5
ფართობი.....	5
გეოგრაფია.....	5
მოსახლეობა.....	6
ეკონომიკა.....	7
ღირდშესანიშნაობები.....	8
ბიუჯეტი.....	8
თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	8
2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი.....	8
2.2 ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები.....	11
2.3 ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები.....	13
2.4 ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლის ბიუჯეტების მიმოხილვა.....	13
2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი:.....	13
2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით:.....	17
ადიგენის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები.....	28
2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით:.....	30
თავი III ადიგენის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები/ღონისძიებები.....	34
პრიორიტეტის დასახელება: ინფრასტრუქტურის განვითარება.....	34
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	34

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	37
1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	43
1.2.1 წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია.....	43
1.2.2 საკანალიზაციო სისტემები	45
1.2.3 ა(ა) იპ „ადიგენის წყალმომარაგება“	47
1.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.....	48
1.2.5 სარწყავი ახრების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია	50
1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	52
1.3.1 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება, გამაგრება	52
1.3.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო.....	54
1.3.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები	55
2. მმართველობითი და საერთო დანიშნულების ხარჯები.....	56
3. დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	59
4. განათლება.....	61
5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.....	65
5.1 ა(ა)იპ ადიგენის კომპლექსური სასპორტო სკოლა.....	66
5.2 ა(ა)იპ ადიგენის ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკა	70
a. ა(ა)იპ ადიგენის სამუსიკო სკოლა	72
5.4 ა(ა)იპ ადიგენის კულტურის ცენტრი.....	74
b. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა.....	76
6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	79
6.1 ჯანმრთელობის დაცვა	80
6.2 სოციალური პროგრამები.....	83

თავი I. ზოგადი ინფორმაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

ადიგენის მუნიციპალიტეტი სამხრეთ საქართველოს ისტორიული სამცხის შემადგენლობაში შედიოდა ამ მხარის მმართველები იყვნენ მთავრები - ხურციძეები, რომელთა სამთავრო ცენტრად ითვლებოდა ჩორჩანი. შუა საუკუნეებში იმ დროინდელი მოსახლეობა გადააგვარა და თითქმის გააქრო ოსმალეთის იმპერიის რამოდენიმე საუკუნოვანმა ბატონობამ. სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის პერიოდში ადიგენის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მკვიდრი ქართველი კათოლიკე-ქრისტიანები და გამაჰმადიანებული ქართველები, რომლებიც იმ დროისთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, აგრეთვე ჩამოსახლებული მაჰმადიანები (ოსმალები, ქურთები, და ა.შ.).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადიგენის მუნიციპალიტეტში დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებული იქნა ქართველები, რაც შეეხება სომეხ და სხვა ეროვნების მქონე მოქალაქეებს რაიონის ტერიტორიაზე მიგრირებული არიან მეფის რუსეთის მმართველობის ასევე საბჭოთა კავშირის არსებობის დროს.

ადიგენის რაიონი 1917 წლამდე შედიოდა ტბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში, 1917-1930 წლებში ახალციხის მაზრაში, 1930 წლიდან კი ცალკე რაიონია. ადიგენს დაბის სტატუსი მიენიჭა 1961 წელს.

მდებარეობა

ადიგენის მუნიციპალიტეტის როგორც ადმინისტრაციულ- ტერიტორიული ერთეული შედის სამცხე-ჯავახეთის მხარეში. იგი ახალციხის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ჩრდილოეთ ნაწილი უჭირავს მესხეთის ქედის, ხოლო დასავლეთი არსიანის ქედის ფერდობებს.

ფართობი

მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 1,1%-ს, ხოლო სამცხე- ჯავახეთის რეგიონის 12,5%-ს შედაგენს შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია- 799კვ.კმ-ია მათ შორის სასოფლო სამეურნეო სავარგულები 340 კვ.კმ

გეოგრაფია

ადიგენის მუნიციპალიტეტს დასავლეთით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით - ჩოხატაურის, ვანის და ბაღდადის რაიონები, აღმოსავლეთით - ახალციხის რაიონი, ხოლო სამხრეთით თურქეთის რესპუბლიკა ესაზღვრება. გოდერძის უღელტეხილით რაიონი უკავშირდება ქალაქ ბათუმს (140 კმ), ხოლო ზეკარის უღელტეხილით ქ. ქუთაისს (100კმ). ქ. თბილისამდე მანძილი 235 კმ-ია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ქსეროფიტული მცენარეულობა, რომელსაც გორაკ-ბორცვიან ზონაში მუხნარი ცვლის.მთის ფერდობები მეტწილად დაფარულია ტყით, ქვედა სარტყელში განვითარებულია შერეული ტყე, სადაც მუხა და რცხილა სჭარბობს, უფრო ზევით გავრცელებულია წიწვოვანი ჯიშის ფიჭვები,სოჭი, ნაძვი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კვეთს მდინარე ქვაბლიანი, რომლის შენაკადების: ოცხე, ლაღვი, ძინძე. მუნიციპალიტეტში რამოდენიმე პატარა ტბაა: შავი ტბა, კოტატბა, თლილი, წყისი, და სხვა.

მოსახლეობა

ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2017 წლის მდგომარეობით 16,5 ათასი კაცია. სიმჭიდროვე 21 კაცი კვადრატულ კილომეტრზე. მუნიციპალიტეტში 57 დასახლებული პუნქტია მათ შორის ორი ურბანული დასახლება დაბა აბასთუმანი და დაბა ადიგენი და 55 სოფელი, რომელიც გაერთიანებულია 21 ტერიტორიულ ერთეულში.

2017 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში დასახლებული 16,5 ათასი მოსახლიდან 8,2 ათასი მამაკაცია, ხოლო 8,2 ქალბატონი. მათ შორის დაბებში რეგისტრირებულია 1,7 ათასი პირი, მათ შორის 0,8 ათასი მამაკაცი და 0,9 ათასი ქალბატონი; ხოლო სოფლად რეგისტრირებულია 14.7 ათასი პირი მათ შორის: 7,4 ათასი მამაკაცი ხოლო 7,3 ათასი ქალბატონი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 1,1 ათასი 5 წლამდე ბავშვი; 3,0 ათასი 5-18 წლამდე მოზარდი; 3,7 ათასი პენსიონერი; მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პირთა სტატუსით სარგებლობს 9,8 ათასი მოსახლე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)
სულ საქართველო	3 713 804	69 700
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	160 969	6 413

ადიგენის მუნიციპალიტეტი	16 100	799
პროცენტი საქართველოსთან	0.43	1.15
პროცენტი რეგიონთან	10.0	12.5

ეკონომიკა

ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. აქედან ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ყველაზე იმედისმომცემ და განვითარებად მიმართულებებსად სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა.

ადიგენის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის კურორტი აბასთუმანი, რომელიც ცნობილია როგორც კლიმატურბალნეოლოგიური კურორტი, რომლის კლიმატი საუკეთესო საშუალებაა ფილტვების დაავადებათა პროფილაქტიკისათვის. განსაკუთრებით სასარგებლოა გაზაფხულის სეზონი, როდესაც ფიჭვი დამტვერვას იწყებს. აბასთუმანი განთქმულია ჰიპერთერმული, სუსტად მინერალიზებული წყაროებით (წყარო ზმეა 39°C, მეფის წყარო - 42°C; სურავანდი წყარო 42°C), რომლთა საერთო დებეტია 1 მლნ ლიტრი დღე-ღამეში. მინერალური წყლები არაერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია მთა ყანობილზე. ზ. დ. 1650 მ, აბასთუმნიდან 8 კმ-ში. დაარსდა 1932 წელს. ის პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

ადიგენის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსით. წყლის მთლიანი რესურსი წარმოდგენილია ტბებით, წყალსაცავებით, მდინარეებითა და მიწისქვეშა გრუნტის წყლებით. დაბა აბასთუმანში არის ბუნებრივი გოგირდოვანი თბილი წყლების დიდი მარაგი, ასევე მუნიციპალიტეტში მოიპოვება მინერალური წყალი „ფლატი“, სასარგებლო წიაღისეულიდან მნიშვნელოვანია ფლატის, ლავის მინერალური წყლები, აბასთუმნის და ჩორჩნის

თერმული წყლები. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ კახარეთში ფუნქციონირებს „კახარეთჰესი“ რომელიც გამოიმუშავებს 2-მეგავატ ელექტროენერგიას.,

ღირდშესანიშნაობები

ადიგენის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 88 ისტორიული ძეგლია აღრიცხული. მათ შორისაა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები, ციხე-კოშკები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლებია: ზარზმის მონასტერი, იჯარეთის მონასტერი, ჭულე, ოქროსციხე, ზანავის ციხე, ოძრხე. ბუნების ძეგლებია გოდერძის გაქვავებული ტყე და ბენარის ფაუნა.

ბიუჯეტი

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი 13,5 მლნ ლარია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებიდან 8,2 მლნ ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობებია მათ შორის უდიდესი ნაწილი დამატებული ღირებულების გადასახადს უკავია 6,3 მლნ ლარი. არასაკუთარი შემოსავლები ძირითდად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021-2026 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული

მაჩვენებლების განისაზღვრა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითდი მაჩვენებლები

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ბეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
შემოსავლები	13 066,0	16 530,9	13 137,1	15 785,1	17 067,5	18 258,4
გადასახადები	7 490,6	10 375,0	12 292,1	14 940,1	16 222,5	17 413,4
გრანტები	4 972,8	5 509,5	245,0	245,0	245,0	245,0
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	4 972,8	5 509,5	245,0	245,0	245,0	245,0
სხვა შემოსავლები	602,5	646,5	600,0	600,0	600,0	600,0
ხარჯები	6 078,9	9 000,4	8 345,3	9 058,5	11 408,6	12 310,5
შრომის ანაზღაურება	1 270,8	2 064,2	2 406,2	2 648,5	2 905,5	3 196,0
საქონელი და მომსახურება	1 461,6	2 477,5	1 908,8	1 964,1	2 074,9	2 147,6
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	28,8	26,0	16,5	11,4	6,3	1,3
სუბსიდიები	1 786,3	2 502,4	3 031,0	3 250,4	5 158,7	5 674,6
გრანტები	130,0	128,0	128,0	128,0	128,0	128,0
სოციალური უზრუნველყოფა	439,4	535,9	517,9	570,4	629,4	637,4
სხვა ხარჯები	961,9	1 266,3	336,9	485,7	505,7	525,7

საოპერაციო სალდო	6 987,0	7 530,6	4 791,8	6 726,6	5 658,9	5 947,9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 053,9	10 684,6	4 736,2	6 671,0	5 603,3	5 920,1
ზრდა	6 928,0	11 305,2	4 736,2	6 671,0	5 603,3	5 920,1
კლება	874,1	620,6	0,0	0,0	0,0	0,0
მთლიანი სალდო	933,2	-3 154,1	55,6	55,6	55,6	27,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	877,6	-3 209,7	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	1 031,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	3 209,7	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-55,6	-55,6	-55,6	-55,6	--55,6	-27,8
ზრდა						
საგარეო						
საშინაო						
კლება	55,6	55,6	55,6	55,6	55,6	27,8
საგარეო						
საშინაო	55,6	55,6	55,6	55,6	55,6	27,8
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუნიციპალიტეტის 2022 წლის 1 იანვრისთვის გადმოშვებული ნაშთი 3 326,7 ათასი ლარია,

2.2 ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

დასახელება	2021 ფაქტი	2022 გეგმა	2023 პროექტი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი
შემოსულობები სულ	13 940,1	17 151,5	13 137,1	15 785,1	17 067,5	18 258,4
შემოსავლები	13 066,0	16 530,9	13 137,1	15 785,1	17 067,5	18 258,4
გადასახადები	7 490,6	10 375,0	12 292,1	14 940,1	16 222,5	17 413,4
დამატებული ღირებულების გადასახადი	6 409,4	8 680,0	10 592,1	13 240,1	14 522,5	15 713,4
ქონების გადასახადი	1 081,2	1 695,0	1 700,0	1 700,0	1 700,0	1 700,0
გრანტები	4 972,8	5 509,5	245,0	245,0	245,0	245,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	4 972,8	5 509,5	245,0	245,0	245,0	245,0
მიზნობრივი ტრანსფერი	140,0	160,0	245,0	245,0	245,0	245,0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	4 832,8	5 349,5	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა შემოსავლები	602,5	646,4	600,0	600,0	600,0	600,0
არაფინანსური აქტივების კლება	874,1	620,6	0,0	0,0	0,0	0,0

წარმოდგენილი პროგნოზებით ადიგენის მუნიციპალიტეტის შემოსულობების მაჩვენებელი 2023 წელს მიმდინარე წელთან შედარებით მცირდება, ხოლო შემდგომ 2024-2026 წლებში სტაბილურად იზარზუნებს ზრდის ტენდენციას. 2023 წელს შესაძლებელია კაპიტალური ტრანსფერის მოცულობა (რომლის დაგეგმვა ცილდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას) განისაზღვროს თუნდაც მიმდინარე წლის დონეზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს 2023 და შემდგომი წლების ბიუჯეტის შემოსულობების მაჩვენებლებს. მანამდე კი ხარჯების საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას წარმოდგენილი პარამეტრები.

საანგარიშო 2021-2026 წლების პერიოდში ადიგენის მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურის განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების ფორმირებაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში ჩარიცხული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩაირიცხება ქვეყნის მასშტაბით მობილიზებული დამატებითი ღირებულების გადასახადის 19,0%, ადიგენის მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს. მისი მოცულობა 2023 წელს მთლიანი შემოსავლების 81%-ია (10 592,1 ათასი ლარი), ხოლო დღეს არსებული პროგნოზებით 2026 წლისათვის იგი მთლიანი შემოსავლების 86,0% იქნება და 15 713,4 ათას ლარს მიაღწევს.

საანგარიშო პერიოდში, ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ქონების გადასახადიდან მისაღები თანხების პროგნოზი უცვლელია და იგი გასული წლების ანალოგიურია. მისი მოცულობა 2023-2026 წლებში განისაზღვრება 1,7 მლნ ლარით. ქონების გადასახადი ფორმირების ძირითადი წყაროა საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადახდილი თანხები.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყაროა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი.

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებში დიდი წილი უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერებს.

2.3 ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

პრიორიტეტის დასახელება		2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2 184,6	4 409,9	4 364,4	4 318,8	4 602,0	4 85931,8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7 406,2	11 769,3	4 519,6	6 960,0	5 975,0	6 727,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	525,6	739,0	932,8	1 026,1	2 712,0	2 983,2
04 00	განათლება	1 088,4	1 287,5	1 297,6	1 232,7	1 356,0	1 491,6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 331,2	1 497,3	1 397,6	1 561,7	1 668,0	1 349,1
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	526,5	658,3	625,0	685,7	755,0	775,1
გადასახდელები სულ		13 062,5	20 361,2	13 137,1	15 785,1	17 067,5	18 258,4

2.4 ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლის ბიუჯეტების მიმოხილვა

2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი:

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №33 დადგენილებით და განისაზღვრა 6 875.9 ათასი ლარის ოდენობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს ნორმატიული აქტებით, რაც ეხებოდა: გრანტების სახით გამოყოფილი თანხების, წლის დასაწყისში არსებულ ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის დაზუსტებულმა მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 15 488,2 ათასი ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 13 940.1 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2021 წლის წლიური გეგმიური მაჩვენებლის 105,5%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებული შემოსავალზე მოდის 7 490.6 ათასი ლარი (შემოსულობების - 54%), გრანტების სახით მიღებული შემოსავლებზე - 4 972.8 ათასი ლარი (შემოსულობების - 36%)სხვა შემოსავლებზე - 602.5 ათასი ლარი (შემოსულობების - 4%), არაფინანსური აქტივების კლება - 874.1 ათასი ლარი (შემოსულობების - 6%).

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შემოსულობების გეგმა და ფაქტი

შემოსულობების დასახელება	2021 წელი			
	გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
შემოსავლები	12 850.7	13 066.0	215.3	101.7
გადასახადები	7 162.8	7 490.6	327.8	104.6
გრანტები	5 076.1	4 972.8	-103.3	98.0
სხვა შემოსავლები	611.8	602.5	-9.3	98.5

არაფინანსური აქტივების კლება	357.4	874.1	516.7	244.6
ჯამი:	13 208.1	13 940.1	732.0	105.5

2021 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი იყო- 2 449.1 ათასი ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გათვალისწინებული ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციი მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - **2 103.0** ათასი ლარი;
- თავდაცვა - 81.6 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - **6 242.7** ათასი ლარი
- გარემოს დაცვა - 530.1 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - **1 174.1** ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - **79.5** ათასი ლარი;
- დასვენება კულტურა და რელიგია - **1 316.2** ათასი ლარი.
- განათლება - **1 088.4** ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - **447.0** ათასი ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში

	გადასახდელები დასახელება	2021 წელი			
		გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	% -ლი წილი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 346.2	2 103.0	89.6	16.1
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 261.9	2 018.6	89.2	15.5

7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	84.4	84.4	100.0	0.7
7.2	თავდაცვა	90.2	81.6	90.5	0.6
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	7 715.7	6 242.7	80.9	47.8
7.4.5	ტრანსპორტი	4 439.2	3 967.2	89.4	30.4
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3 276.5	2 275.5	69.4	69.4
7.5	გარემოს დაცვა	592.3	530.1	89.5	4.1
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	35.9	0.0	0.0	0.0
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	556.4	530.1	95.3	95.3
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1 511.6	1 174.1	77.7	9.0
7.6.3	წყალმომარაგება	1 046.5	558.8	53.4	4.3
7.6.4	გარე განათება	465.0	398.9	85.8	3.1
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	80.2	79.5	99.1	0.6
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80.2	79.5	99.1	0.6
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 365.2	1 316.2	96.4	10.1
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	239.3	212.4	88.8	1.6
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	247.4	242.6	98.1	1.9
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროში	878.5	861.5	98.1	6.6
7.9	განათლება	1 294.0	1 088.4	84.1	8.3
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	746.8	624.5	83.6	4.8

7.9.2	ზოგადი განათლება	3.0	3.0	100.0	0.02
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	544.2	460.9	84.7	3.5
7.10	სოციალური დაცვა	492.8	447.0	90.7	3.4
7.10.1	ავადმყოფთა და შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	339.0	311.5	91.9	2.4
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	43.0	41.1	95.6	2.3
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	110.0	94.3	85.7	0.7
	ჯამი:	15 488.2	13 062.5	84.3	100.0

2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები პროგრამული კოდი (01 01) 2020 წლის გადასახდელეებმა გეგმით შეადგინა 2 186,4 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა 1 925,7ათასი ლარი, რაც გეგმის 88,1%-ია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 562.3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 1 456.3 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 81.6 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 66,6 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-100.0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 60.0 ათასი ლარი.

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 02 00

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის (პროგრამული კოდი 02 01) გეგმა 4 439.2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 3 967.2 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 89.4%; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 2021 წლის განმავლობაში, ადიგენი მუნიციპალიტეტში მოხდა 5 ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა, მათ შორის მოეწყო ადგილობრივი მნიშვნელობის 2 ახალი ხიდი ზომით 18x9მ. ორი სახიდე გადასასვლელი ზომით 5x5-ზე და 1 საფეხმავლო ხიდი 60x1მ-ზე. ადიგენის მუნიციპალიტეტში ჯამში დაიგო 3657 გრ.მ გზის საფარი, სანიაღვრე არხებითა და ეზოში შესასვლელებით, მოხდა გზის დამცავი საყრდენი კედლებისა და გაბიონების მოწყობა.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

ბათუმი ახალციხის გზიდან მლაშე-მოხის დამაკავშირებელ გზაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის და ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში მოეწყო ახალი სახიდე გადასასვლელი 18მ სიგრძის და 9მ სიგანი. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების საირმე-ჭელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის (ხიდის მშენებლობა) I ეტაპის სამუშაოები- პროექტის ფარგლებში მოეწყო ახალი სახიდე გადასასვლელი 18მ სიგრძის და 9მ სიგანი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების მოხე-კეხოვნის დამაკავშირებელის საფეხმავლო ხიდის მოწყობა - პროექტის ფარგლებში მოეწყო 60 მეტრი სიგრძის და 1 მ სიგანის საფეხმავლო (საცალფეხო) ხიდი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის საუბნო (სასაფლაოსთან მისასვლელი გზა) გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოეწყო 1,5 კმ ბეტონის გზის საფარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში „ზაზათუნის“ საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოეწყო 825 გრძივი მეტრის ბეტონის გზის საფარი.

სოფელ ზემო ენთელში საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოეწყო 150 გრ.მ ასფალტის საფარი.

სოფელ ვარხანში ბეტონის გზის მოწყობა (III მონაკვეთი) - მოეწყო 582 გრძივი მეტრი ბეტონის გზა.

სოფელ ჩორჩნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში ჯამში მოეწყო 600 გრ.მ ასფალტის საფარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდემში, არალში და სოფელ ლელოვანში შიდა საუბნო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა - პროექტის ფარგლებში სოფელ ლელოვანში მოეწყო 26 მ სიგრძის რკინა ბეტონის საყრდენი კედელი, სოფელ უდემშიპირველ მონაკვეთზე მოეწყო 8 მ სიგრძის და 4მ სიმაღლის რკინა ბეტონის კედელი, მეორე მონაკვეთზე ჯამში მოეწყო 21მ სიგრძის და 4მ სიმაღლის გაბიონის კედელი. მესამე მონაკვეთზე მოეწყო 23მ სიგრძის და 3მ სიმაღლის გაბიონის კედელი, მეოთხე მონაკვეთზე მოხდა 10მ სიგრძისა და 3მ სიმაღლის გაბიონის კედლის მოწყობა.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარხანში შიდა საუბნო გზის საყრდენი კედლის მოწყობა- პროექტის ფარგლებში მოეწყო 99გრ.მ რკინა ბეტონის კედელი.

დაბა ადიგენის სკოლის მიმართულებით ასავლელი კიბეების რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდა ამორტიზებული საყრდენი კედლისა და კიბის დემონტაჟი, მოეწყო ახალი კიბეები, ბაზალტის საფეხურები რკინა ბეტონის საყრდენი კედლებით.

ხევამენი უნწის ხევზე სახიდე გადასასვლელი - პროექტის ფარგლებში მოეწყო ახალი სახიდე გადასასვლელი 5მ სიგრძის და 5მ სიგანის ახალი ხიდი.

ჭულეს ხევზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა - პროექტის ფარგლებში მოხდა ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობა ზომით 5X5-ზე, მოაჯირებით და დამცავი გაბიონებით.

პროგრამის ფარგლებში აგრეთვე განხორციელდა დაბა აბასთუმნის და დაბა ადიგენის შიდა ქუჩების სოფლებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02) გეგმა 1 732.7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 328.9 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 76.7%

წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია ქვეპროგრამა (02 02 01) გეგმა 802.5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 558.8 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 69.6% ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა მ.შ.

სოფელ უდის სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოხდა ახალი მაგისტრალური წყალსადენის სხვადასხვა დიამეტრის მილების მონტაჟი საერთო სიგრძით - 19759 გრ.მ.

ქვემო ენთელის სასმელი წყლის რეაბილიტაცია - მოეწყო ახალი პოლიეთილენის და პლასტმასის მილები 5001 გრ.მ, აგრეთვე მოხდა მონოლითური რკინაბეტონისაგან 160 კუბ.მ ტევადობის სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა.

მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის სასმელი წყლის ქსელისათვის საჭირო პლასტმასის მილებისა და გადაბმის ქუროების შესყიდვა - პროექტის ფარგლებში სოფ. ადიგენში, სოფ. უდემში, სოფ. პატარა პატარა და დიდ სმადში, სოფ

არზნეში მოხდა სხვადასხვა დიამეტრის 7500 გრ.მ სასმელი წყლის მილის შესყიდვა თავისი აქსესუარების გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტის სოფლებში საჭირო სასმელი და სარწყავი წყლის შეკეთებისათვის მილების შესყიდვა - პროექტის ფარგლებში სოფელ წახანში, ხარჯამში, უდუმი და დიდ ზანავში მოხდა სასმელი წყლის მილების შესყიდვა (სხვადასხვა დიამეტრის) ჯამში 7000მ, ხოლო სოფ. წრეში 700გრ.მ სარწყავი წყლის მილი.

სოფელ ვარხანში, ღორძეში და სოფ. დერცელში მოხდა 950გრ.მ სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის სასმელი წყლის მილების შესყიდვა თავისი აქსესუარებით.

ა(ა)იპ ადიგენის წყალმომარაგების სამსახური (პროგრამული კოდი 02 02 03) ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 244,0 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 216,4 ათასი ლარი ანუ გეგმის - 88,7 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაზიანებული ადგილების შეცვლა, წყალსატუმბ სადგურებზე ფიდერის ეკალ ბარდისაგან გაწმენდა - გასუფთავება, სარწყავი წყლის გამსვლელი მილების მონტაჟი, სასმელი წყლის სათავე- ნაგებობების გარეცხვა გაწმენდა და რეაბილიტაცია, წყალსატუმბ სადგურებზე, წყალსატუმბი ნასოსებისა და მოტორების დემონტაჟი და მონტაჟი, სასმელი სწყლის მაგისტრალის საუბნო განშტოებების რეაბილიტაცია.

გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (ქვეპროგრამა 02 02 04) 2021 წლის წლიური გეგმა 465,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 398,9 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 85,8% ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ციხისუბნისა და ჭეჭლის გარე განათების მოწყობა, ციხისუბანში მოეწყო 1155მ-ზე 49 განათების ბოძი, ხოლო ჭეჭლაში 1715მ-ზე მოეწყო 49 განათების ბოძი.

დაბა ადიგენში და სოფ ბენარაში გარე განათების ქსელის მოწყობა. ბენარაში 465მ-ზე მოეწყო 14 ცალი განათების ბოძი, ხოლო დაბა ადიგენში „ზემო პლატოზე“ მოხდა დამატებით 8 ბოძის მოწყობა.

აგრეთვე აღნიშნული ქვეპროგრამიდან ხორციელდება გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტორ ენერჯის ღირებულების დაფარვა და გარე განათების ქსელის მომსახურების ღირებულების დაფარვა.

სარწყავი არხების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია (ქვეპროგრამა 02 02 05) ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 151,6 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 144,1 ათასი ლარი ანუ გეგმის - 95,1 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

ადიგენის მუნიციპალიტეტის კახარეთი უდის სარწყავი არხის რეაბილიტაცია - მოეწყო ახალი რკინა ბეტონის ცხაური 50გ.მ, მოხდა არსებული არხის გაწმენდა, როგორც ხელით ასევე სპეციალური ტექნიკით საერთო ჯამში - 1513 გრ.მ.

სოფელ უდის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისათვის მოხდა სამშენებლო მასალების შესყიდვა.

სოფელ უდემში ნაპირდამცავი ბერმის მოწყობა - პროექტის ფარგლებში ორ მონაკვეთზე მოეწყო ქვის ბერმები, საერთო სიგრძით 185 გრ.მ საშუალო სიმაღლე 2მ.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (ქვეპროგრამა 02 02 06) აღნიშნულ ქვეპროგრამაზე გეგმა განსაზღვრული იყო 20,0 ათასი ლარით თუმცა ხარჯვა არ განხორციელებულია აღნიშნულ პროგრამულ კოდზე გათვალისწინებული იყო სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას ადიგენის მუნიციპალიტეტში შემავალი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები, ვინაიდან 2021 წელს არ დადგა აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა, შესაბამისად პროგრამის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%.

შენობა ნაგებობების გამრიცხველიანება (ქვეპროგრამა 02 02 07) გეგმა 13,7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 10,6 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 77,7% ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა შენობა ნაგებობების ელექტროენერჯის ქსელზე დაერთება, ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელზე დაერთება, აგრეთვე ობიექტების ელექტრო გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული სიმძლავრის ზრდა.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების (პროგრამა 02 03) პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება, გამაგრება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები. პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 2 095,5 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 1 236,2 ათასი ლარი ანუ გეგმის 59,0 %

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება გამაგრების (ქვეპროგრამა 02 03 01) ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 1 017,6 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 375,4 ათასი ლარი ანუ გეგმის - 36,9 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

სოფელ დიდი ზანავის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი - 358კვ.მ-ზე თავისი დერეფნებით, ჯგუფების ოთახებით, სამზარეულოტი, სველი წერტილით, სააქტო დარბაზით, დამხმარე სათავსოებით.

სოფელ არალის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოხდა დაზიანებული სახურავის შეცვლა 276 კვ.მ, შეიცვალა იატაკი, დამონტაჟდა თაბაშირ მუყაოს ჭერი, მოხდა სანტექნიკისა და წყალგაყვანილობის მონტაჟი.

სოფელ უდის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში შეიცვალა სახურავი, მოხდა იატაკის მოწყობა, დამონტაჟდა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, მოეწყო თაბაშირ მუყაოს ჭერი, მოწესრიგდა წყალგაყვანილობა.

მერიის საკუთრებაში არსებული შენობების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები - პროექტის ფარგლებში მერიის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში სოფ. უდეში (კულტურის სახლის შენობა), დაბა ადიგენში მერიის სამხედრო არრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურში, ახალგაზრდულ ცენტრში და მერიის შენობაში შეიცვალა საკანალიზაციო სისტემა, კარ-ფანჯარა, იატაკი.

მერიის პირველი ადმინისტრაციული შენობის საქვებისა და გათბობის მოწყობა - პროექტის ფარგლებში აშენდა საქვების შენობა, რომელშიც დამონტაჟდა ორი გათბობის ქვაბი, მოეწყო მილგაყვანილობა, დამონტაჟდა პანელური რადიატორები. ქვეპროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები ღირებულებით 557021 ლარი- აღნიშნული ტენდერი შეწყდა, შესაბამისად ხარჯვაც არ განხორციელდა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი ქვეპროგრამა 02 03 02 ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 335,1 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 203,9 ათასი ლარი ანუ გეგმის - 60,9 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა. აგრეთვე საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების დაფინანსება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების ხარჯის დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები ქვეპროგრამა 02 03 03 ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 742,9 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 656,8 ათასი ლარი ანუ გეგმის - 88,4 %. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

სოფელ ვარხნის მინი ფეხბურთის მოედანის მოწყობა - მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედანი ზომით 16X32, ლითონის ღობის კონსტრუქციით, გარე განათებით.

სოფელ არალში, სოფელ ბოლაჯურში, სოფელ ზარზმასა და მოხის საბავშვო ბარში მოეწყო სხვადასხვა ტიპის გასართობი ატრაქციონები, ლეგო კაუჩუკის ფილები, მოედანი შემოსაზღვრა კაუჩუკის ბორდიურებით.

სოფელ ბოლაჯურის მინი ფეხბურთის მოედანის მოწყობა - მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედანი ზომით 16X32, ლითონის ღობის კონსტრუქციით, გარე განათებით.

სოფლებში უტყისუბანში და კეხოვანში მოეწყო მინი ფეხბურთის მოედანები ზომით 12X24

პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა 100 ერთეული ნაგავმემკრები კონტეინერი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ქვეპროგრამა 03 04 01 გეგმა 723,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 691,8 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 95,7% სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში

განხორციელდა სხვადასხვა სახის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები მათ შორის მოეწყო 137 გარე განათების ბოძი; რეაბილიტირდა და მოეწყო 2223მ სარწყავი არხის სისტემა; რეაბილიტირდა და მოეწყო 16 080 მ სასმელი წყლის სისტემა; მოიხრემა 7552 მ სოფლის შიდა გზები; გარდა ამისა განხორციელდა სხვადასხვა მცირე პროექტები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 04) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები მათ შორის მოეწყო 102 გარე განათების ბოძი; რეაბილიტირდა და მოეწყო 5272 მ სარწყავი არხის სისტემა; რეაბილიტირდა და მოეწყო 5800 მ სასმელი წყლის სისტემა; მოიხრემა 3333 მ სოფლის შიდა გზები; დაიგო 377მ ბეტონის გზა, გარდა ამისა განხორციელდა სხვადასხვა მცირე პროექტები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 525.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.3 პროცენტია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დადიგენისა და კურორტ აბასთუმნის ქუჩებისა და ტროტულების ასევე სოფლებში არსებული სკვერებისა და მიმდებარე ტერიტორიების, რეკრეაციული ზონების, გზის პირების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და დროული გატანა. დადიგენში არსებული ადმინისტრაციული შენობების დალაგება; სანიაღვრე არხების წმენდა; მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ნაგავსაყრელების აღმოჩენა, აღრიცხვა და შემდგომ დახურვა, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რეცხვა, ადმინისტრაციული შენობებისა და თავშეყრის ადგილების ასევე სანაგვე ურნებზე სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

განათლება 04 00 საგანმანათლებლო ღონისძიებები 2021 წლის განმავლობაში დაფინანსდა 1 088.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 1 294.0 ათასი ლარი, 84.1 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 624.5 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა დაფინანსდა (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) 155,0 ათასი ლარით, საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა დაფინანსდა - 305,9 ათასი ლარით.

სკოლამდელი განათლება 04 01 01 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 10 საბავშვო ბაღში 491 აღსაზრდელის სწავლა, განათლება და განვითარება განხორციელდა. გადამზადდა 16 აღმზრდელი.სტანდარტების შესაბამისად ნაწილობრივ მოწესრიგდა საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა და ეზოების კეთილმოწყობა,ასევე ბაღები აღიჭურვა

ინვენტარით, სათამაშოებით და სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსებით. ჩატარდა მიწოდებული კვების პროდუქტების გეგმიური შემოწმებები. ბავშვების ტრანსპორტირება ხდება საბავშვო ბაღების მიმდებარე სოფლებიდან.

სასკოლო ღონისძიებები ქვეპროგრამა 04 02 01 პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2021 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტში ინტელექტუალური ჩემპიონატი „ეტალონი“, რომელიც გაიმართა ონლაინ რეჟიმში და მასში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის სკოლების 150 მოსწავლემ. აღნიშნული პროგრამა დაფინანსდა 3,0 ათასი ლარით.

საჯაროს სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება საანგარიშგებო წლის განმავლობაში (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში), რითაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა სხვადასხვა სოფლიდან ტრანსპორტირება საჯარო სკოლაში.

საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა - 2021 წელს ადიგენი მუნიციპალიტეტის სოფლებში 4 საჯარო სკოლაში მოეწყო თანამედროვე სტილი საპირფარეშო (სველი წერტილი).

პროექტების დასახელებები:

ლელოვნის საჯარო სკოლის საპირფარეშოს მოწყობა - პროექტის ფარგლებში 40,7 კვ.მ-ზე მოეწყო ახალი თანამედროვე ტიპის საპირფარეშო, მიღგაყვანილობით, საკანალიზაციო ქსელით სეპტიკით და ვენტილაცია გათბობის სისტემით.

დიდი სმადი სკოლის საპირფარეშო - პროექტის ფარგლებში 43კვ.მ-ზე მოეწყო საპირფარეშო (სველი წერტილი)

ლორძის დაწყებითი სკოლის სველი წერტილი - პროგრამის ფარგლებში მოეწყო 41კვ.მ -ზე საპირფარეშო.

სოფელ უდის N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში მოხდა სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, შეიცვალა ლითონის კარები, მოეწყო ლამინირებული პარკეტის იატაკი. 143კვ.მზე სპორტულ დარბაზში დაიგო ვინილის იატაკი.

პრიორიტეი კულტურა რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 05 00

ა(ა)იპ ადიგენის კომპლექსური სასპორტო სკოლის ქვეპროგრამა 05 01 01 სუბსიდია გეგმა 126,3 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 99,4 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 78,7%; პროგრამის ფარგლებში ჩატარდა დაგეგმილი 3 შეხვედრა ფეხბურთის სექციაში, გასვლითი ტურნირის ფარგლებში ძიუდოსა და რაგბის სექციის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ბოლნისის, ბათუმისა და ასპინძის მაშტაბით გამართულ ღონისძიებებში. გამოვლინდა II და III საპრიზო კატეგორია .ამჟამად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სპორტის 7 სახეობაში. ა(ა)იპ ადიგენის კომპლექსურ სასპორტო სკოლას ჰყავს 15 მწვრთნელი და ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები :ფეხბურთის წრე, თავისუფალი ჭიდაობის წრე, კალათბურთის წრე, რაგბის წრე, მკლავჭიდის წრე, ძიუდოს წრე და ჭადრაკის წრე. სპორტსკოლას ყავს 300-მდე სხვა და სხვა ასაკის მოსწავლე. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვა და სხვა ქტივობებს მოსახლეობის ჩართულობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისთვის.სპორტული სკოლა ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს,მათ მწვრთნელებს და

ახორციელებს მათ დაჯილდოვებას, ასევე უზრუნველყოფს სპორტულ სკოლაში წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას.

სპორტის განვითარების ხელშეწყობის გეგმა 113,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 113,0 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 100,0%; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი „ტაო“-ს დაფინანსება გრანტიტ რაგბის, როგორც გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაციის და მისი განვითარების ხელშეწყობისათვის სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა პროგრამა 05 02 პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკის, ა(ა)იპ ადიგენის სამუსიკო სკოლის და ა(ა)იპ ადიგენის კულტურის ცენტრის დაფინანსება. გეგმა 247,4 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 242,6 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 98,1%;

ა(ა)იპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკის გეგმა 81,7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 80,4 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 98,4%; დღეის მდგომარეობით, ადიგენის მუნიციპალიტეტში არის 6 ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობაა გაერთიანების ბიბლიოთეკებში (მთლიანად) - 105006 წიგნი. წიგნთგაცემა, მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელის მაშტაბით 2021წლის მდგომარეობით იყო 47300.

ა(ა)იპ ადიგენის სამუსიკო სკოლის ქვეპროგრამა 05 02 02 სუბსიდია გეგმა 89,9 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 89,8 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 99,9%; 2021 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ადიგენის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 1. კონცერტი პედაგოგების მიხედვით, 2. ჩათვლები გამებსა და ტექნიკურ ნაწარმოებებში, 3. დახურული კონცერტი, 4. სარვამართო და დედათა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 5. ღია საახალწლო ღონისძიება, 6. წლის საანგარიშო კონცერტი. სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში „სხვა საქართველო სად არის“, სადაც მოიპოვეს საქ. მასშტაბით II ადგილი, სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ასევე X რეგიონალურ კონკურსში, სადაც შეასრულეს საფორტეპიანო ნაწარმოებები და მოიპოვეს საქ. მასშტაბით III ადგილი.

ა(ა)იპ ადიგენის კულტურის ცენტრის ქვეპროგრამა 05 02 03 გეგმა 75,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 72,4 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 95,6%; პანდემიის გამო დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა

ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა და სხვადასხვა ღონისძიებები პროგრამა დაფინანსდა 29,2 ანუ გეგმის 65%-ით (გეგმა 44,9 ათასი). პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიების ორგანიზება; საფეხბურთო ტურნირში გამარჯვებულთათვის საჩუქრების შექმნა; ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიების ორგანიზება და ყვავილების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისა და ჩემპიონატების ორგანიზება და მედლების, სიგელების და თასების შესყიდვა;

პანდემიიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა დაგეგმილი ღონისძიებების სრულად ჩატარება შესაბამისად გეგმასა და ფაქტიურ ხარჯს შორის სხვაობა აღემატება 30%.

ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 833,6 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 932,1 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 99,8%; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფელ ბენარაში ანდრია პირველწოდებულის სახელობის სვეტის მშენებლობა, ქვაბიჯვრის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია-მშენებლობა, ჭიხეს წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია-მშენებლობა, შოშხოთის მამათა მონასტერის რეაბილიტაცია- მშენებლობა, ბენარის წმ. იობი მრავალწინების სახლობის ტაძრის რეაბილიტაცია- მშენებლობა, დაბა აბასთუმანში წმ. დიდმოწამე გიორგის სახელობის მონასტრის კიბეების რეაბილიტაცია-მშენებლობა.სოფელ კახარეთის ასიაათასი მოწამის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია მშენებლობა. სოფელ მოხის ეკლესიის შემოღობვის ღირებულება

ტურისზმის განვითარების ხელშეწყობა გეგმა 15,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 15,0 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 100,0%; აღნიშნული პროგრამით ხდება ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის გრანტით დაფინანსება რომელიც უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით ადიგენის, უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებას, ტურიზმის პოპულარიზაციას რეგიონში, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზიდვას რეგიონში.

პროირიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ა(ა)იპ ადიგენის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური ქვეპროგრამა 06 01 01 გეგმა 80,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 79,5 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 99,2%; პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდსიტუაციის კონტოლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადექვატური რეაგირება და პირველადი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზად ყოფნა; პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს: 1. ზოგადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას (სამედიცინო სტატისტიკური მუშაობის უზრუნველყოფა, სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელებასა სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად; სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ შემთხვევათა კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით) და წარდგენა დკსჯე ცენტრში; სამოქმედო არეალში სამედიცინო დაწესებულებების დამხმარე ზედამხედველობა იმუნიზაციის ღონისძიებების უზრუნველყოფაზე, „ცივი ჯაჭვის“ და საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებაზე; დაავადებათა ზედამხედველობის

ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში შემთხვევათა რეგისტრაცია; სამოქმედო არეალში საბიუჯეტო წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისათვის ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.)

სოციალური უზრუნველყოფა პროგრამული კოდი 06 02 გეგმით განსაზღვრული იყო 492,8 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 447,0 ანუ გეგმის 90,7%. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობის სამედიცინო და სააფთიაქო მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების დახმარება (ოჯახს, რომელსაც ხანძარმა დაუზიანა საცხოვრებელი სახლი და არ გააჩნია მისი შეკეთების სახსრები, ოჯახს რომელსაც გარდაეცვალაწევრი და არ გააჩნია მისი დაკრძალვის ხარჯები და ოჯახი, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა და ცხოვრობს უკიდურეს სიდუხჭირეში, ასი და ას წელს გადაცილებული მოქალაქეების დახმარება), ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება, ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება, სოფელ არლის უნარშეზღუდულთა და მენტალობადაქვეითებულთა საინტეგრაციო ცენტრის დაფინანსება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომებში დაღუპული მებრძოლი ოჯახების ერთჯერადი დახმარება და შშმ სტატუსის მქონე პირების ოჯახების დახმარება

ავადმყოფთა და მშობიარეთა გამოკვლევა, მკურნალობის, ოპერაციებისა და მედიკამენტების ხარჯი ქვეპროგრამა 06 02 01 აღნიშნული ქვეპროგრამის გეგმა გეგმა 319,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 294,6 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 92,4%; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 368 ბენეფიციარის დახმარება.

ახალშობილთა ოჯახების დახმარება გეგმა 20,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 19,6 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 98,0%; ქვეპროგრამის ფარგლებში ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალშობილთა ოჯახებს საანგარიშო წლის პერიოდში დახმარება გაეწია ერთჯერადად - 100 (ასი)ლარის ოდენობით სულ დახმარება გაეწია 196 ოჯახს.

ომის მონაწილეთა დახმარება 9 მაისისათვის გეგმა 1,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1,0 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 100,0%; პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია მეორე მსოფლიო ომის 1 მონაწილეს 1000 ლარის ოდენობით.

დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერადი დახმარება გეგმა 1,6 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1,2 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 75,0%; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე დახმარების გაწევას ერთჯერადად - საახალწლო დღესასწაულზე 200 (ორასი)ლარის ოდენობით 2020 წელს დახმარება გაიცა 6 ოჯახზე.

სოფელ არლის უნარშეზრდილ და მენტალობადაქვეითებულთა საინტეგრაციო ცენტრი გეგმა 20,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 16,9 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 84,5%; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფელ არალში უნარშეზრდილთა და მენტალობადაქვეითებულ ბენეფიციართა საინტეგრაციო ცენტრის სპეციალური პედაგოგიური აღზრდის, მოვლის და კვების მომსახურება.

მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება გეგმა 106,4 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 91,4 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 85,9%; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები: დახმარება გაეწია უკიდურესად გაჭირვებულ 93 ოჯახს; სარიტუალო ხარჯი დაუფინანსდა 150 ლარით- 11 ოჯახს (დაკრძალვის ხარჯი); სამშენებლო მასალებით კერძოთ თუნუქით დახმარება გაეწია 36 ბენეფიციარს; 500 ლარი გადაეცა 2 ბენეფიციარს 100 წელს გადაცილებული; სტიქიური უბედურების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად დახმარება გაეწია 64 ოჯახს.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება გეგმა 13,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 12,2 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 93,8%; ქვეპროგრამის ფარგლებში ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი მცირეწლოვანი შვილი, საანგარიშო წლის პერიოდში დახმარება გაეწია ერთჯერადად - 200 (ორასი)ლარის ოდენობით, სულ 2021 წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 61 ოჯახს.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება გეგმა 2,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2,2 ათასი ლარი, შესრულების პორცენტი - 78,6%; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახებზე დახმარების გაწევა ერთჯერადად - აღდგომის დღესასწაულზე 200 ლარის ოდენობით სულ დახმარება გაეწია 11 ოჯახს.

